



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაზუი.ი. ზაგოდის სომალ კვირა ღმს.

№ 11.

მარტ 05 1895 წ.

№ 11.

შინაარსი:—რამდენიმე ცნობა ალექსანდრე ბაქონიშვილის ჩამომავლობაზე. ფექრი და შენ შენა დ. ს.—სხვა-და-სხვა ამბებ—ურწყუნოვა, ლექსი რუს-იმერლისა, ტირილი და გასვენები ბაქონიშვილ-ს ალექსანდრე ბაგრატიონისა ს. ლვანთოს დამსწრესი—სიტყვა დონ დიმიტრის შესახებ წარმოთქმული ოდესამ.—გაჭეთი „ივერია“ და ვროჯება ნ. ურდანიასი,—მცირე შენიშვნა.—სეიონი ხელი ე. ბარნოვისა.—საქველ-მოქმ დო საქვე.—ჩვენი მუშებისა დგ ნოქრების მდგომარეობა აბი-სელისა.

რამდენიმე ცნობა ალექსანდრე ბაქონიშვილის ჩამომავლობაზე

მერეთის მეფეს ალექსანდრე V-ს ჰყავდა ხუთი ვაჟი: სოლომონ პირველი (დიდი), დავით, იოსები (კათალიკოსი), ბაგრატი და არჩილი. იმათში ბაგრატის შვილი იყო დავით, რომელსაც ჰყავდა მეუღლეთ ჩაქის ერისთავის ასული დარეჯან. ამათი შვილები იყვნენ: იოანე, თეიმურაზ, მარიამ, ეკატერინე და დავითი *). იოანეს შვილი იყო ამ ქამათ ვადაკვალებული ბატონიშვილი ალექსანდრე, შორაპნის მახრის მარშალი, უგანათლებული თავადი.

ამ სახით ახლათ მიცვალებული ალექსანდრე დიდი მეფის სოლომონ პირველის ძმისწულის შვილიშვილია. დიდი ისტორიული უბედურება დაატყდა თავზე განსვენებულის მამა-პაპის ოჯახს. 1820 წ. ზურ. და გრ. წერეთლები მძინვარებდნენ იმერეთში.


*) იხ. არსისკს თხზულება Addition IX



ბრუსი

იმათ უნდოდა ერთათ ერთი მზამანგელი ყოფილიყვენ იმერეთისა. მას ჰქონდა ჩინებული განწყობილება მთავარ-მართველებთან გენერალ ტორმასოვსა და ერმოლოვთან, რომელნიც სრულიად ეთანხმებოდნენ მის ნებას. ამის გამოამისი შვილი გრ. წერეთელი პირად ინტერესების გულისთვის დიდ უსამართლობას ჩადიოდა. ის ეგრე ჰყოფდა თავისუფალს და გველენის მექანე კაცებს იმერეთში. ამიტომ აუტყდა ქუთათელს და გენათელ არქივისკოპოებს, დაუწყო მათ ტყუილ-უბრალოთ ბეზღობა მთავარ მართებელთან. აგრეთვე აბეზღებდა განსვენებულს ალექსანდრე ბატონიშვილის ჰაპას, დავითს. სანამდის ეს პირები იმერეთში იქნებიანო, უთელიდა იგი საიდუმლოთ ერმოლოვს, მანამდის იმერეთში ამბობება არ მოიშლებოა. ღენერალი ერმოლოვი თვითონ პირდაპირ ერიდებოდა იმერეთის საქმეებში ჩაბრუნებას და გრ. წერეთელს, როგორც ღენერალს, სრული ნება მისცა მოქმედებისა. ამისგანო თ. გრ. წერეთელი, აღუტყროილი სამხედრო და სამოქალაქო უფლებით, მიუხედავად იმერეთის საკუთარ ადგილ-სამყოფელში და თავის ხელთ ჩამოწყვეტა გულისა ბატონისანი სა-მიტროპოლიტო ოჯახი. თურმე ამ დროს ქუთათელმა

დაწყევლა თ. გრ. წერეთელი შემდეგი სიტყვებით: „მაგისმა მადლობა დაამზოს შენი ოჯახი და ამოავლას ძირიანთ შენი სინსილაო!“ ქუთათელ-გენათელი რომ გაისტუმრა თ. გრ. წერეთელმა, მერე დავით ბატონიშვილს დაუწყო დევნა დასაქერათ. ის გაგარდა ფერასთისა და ხრეთის მიდებში თავის ამალით, მაგრამ მიგზავნილმა კაცმა მალე მოკლა თოფით ბატონიშვილი დავით. ის დასაფლავეს ღენაქეთის საყდარზე. ხალხში თქმაა, რომ მისი საფლავიდან ერთი წელიწადი სისხლი ამოდიოდაო. ბოლოს დავითის გვაში გადიტანეს გელათის მონასტერში და იქ დაკრძალესო. დავითს დარჩა ერთ-ერთი ძე იოანე, რომელიც ყველაზე უმცროსი ყოფილა, რადგან სხვა შვილები სულ დახოცია. ეს მცირე წლოვანი იფანე გაუსვენა მის ერთგულ აზნაურს მერაბ ყოფიანს ჩალორში, მოუკლია ზურგზე და ოსმალეთში გაუყვანია. შემდეგ მთავრობის ნება დართვით იფანე ისევ მობრუნებულა ღენაქეთის თავის მამულში და აქ შეურთავს ბეჟან წერეთლის ქალი ელისაბედ. შესანიშნავად, რომ მასაც ერთი შვილის მტეი არ შერჩენია—ახლოთ მიოცვლებული ალექსანდრე,—რომელიც მამას აგრეთვე მცირე წლოვანი დარჩენია.



ვიქრი და შენიშვნა
(აჭაყის წყრადის გამოს).

X



კაკის წერილმა განცხადებასაიეთ „ცელო“ № 6) ერთი ამბავი მომაგონა, რომელიც აქვე მომყავს: ამ რომღენიმე წლის წინათ ერთ-ერთ რკინის გზის სადგურზე შეხვდები ერთ ჩემ ნაცრობ რუს-პედაგოგს:—ეს არის სამეგრელოში ემოგზაურობდი, მითხრა მან. ბევრი მეგრული სიმღერა ჩაგწერ და მინდა დავაბეჭდედინოო. მაშინ ამორღისა მიერ (თუ არ ვიცო, ვის მიერ შეღენილი ანბანი ?) ახალი შემოღებული იყო სამეგრელოს შკოლებში და იმიტომ ვკითხე: რა ანბანით დაბეჭდეთ თქვენს შრომას-მეთქი?—აკადემიურიოთ, მიპასუხა. მე აკადემიური ანბანი ლათინური მეგონა, მაგრამ გამოდგა, რომ სწორეთ ის ანბანი

იყო.—საკვირველია, რატომ დაგჭირდათ ეს ახალი ანბანი, რომელიც არაფერს არ ჰკავს, როცა თვით მეცნიერებისაგან უმდიდრესათ აღსარებული ქართული ანბანი გვაქვს-მეთქი?—ვკითხე ისევ.—ამიტომ, ახლა-ქართულ ანბანს ვეღარ ვიხმართ, რადგან აკადემიამ თავისი ანბანი აქვს. აი, თქვენ, ქართველებს, რის ჩვენთვის არ გეყურებინათ და თვითონვე შეგკრიბათ მეგრული „შეპირ ვაღმოცემები“ და დაგებეჭდეთ ქართული ანბანით, შეიძლება, აკადემიასაც ეგვე ანბანი მივიღო; მაგრამ თქვენ ამ მხრით სრულიად არაფერი გავკეთებიათ და ჩვენ კი, როგორც ჩვენთვის ჰქონდა, ისე უნდა მოვიქცეთო. დანაშაული თქვენვე ხართ, დაბოლოვდა ჩემმა მოსაუბრემ თავისი სიტყვა და გამშორდა. არ ვიცო, მართლა ამორღებოდა მეგრულს ამორღისეული ანბანი, როგორც პატრეცემულმა პედაგოგმა მითხრა, რომ მართლა ჩვენ დაგვეწყო პირველათ მეგრული ხალხური პოეზიის შეკრება, თუ არა; ხილო დანაშაული რომ დიდა მიგვიძღვის, ეს ცხადია. უბატონოო ცელესიას ეშმაკები დევატრონებინაო, მართალია და ჩენი

*) ეს ანბანი რუსული ანბანი; იმ მკერულ ბეჭდვას გამოსასვლათ რომელნიც რუსულში არ ანბანს, ნასმარია იგივე რუსული ასოები კულუბის გამოშობით, მაკალათათ ჟ იგივე ჟ ა კუდით, წ-ც, ჭ-ჩ, და სხვ.

ხალხის გენიოსობის ნაწარმოებსაც ასე მოუვიდა *); ნამეტურ დასაყვამის საქართველოა სრულიად მიეწეებულ; გარდა თავისუფალ სენიას, რომელსაც მხოლოდ სენიეთი აულია შესასწავლათ, იმერეთზე, გურია-სამეგრელოზე, რაჭა-ლეჩხუმზე, აფხაზეთ-სამურ-რზაყანაზე, მგონია, ერთი თნორგაფიული წერილიც კი არ დაბეჭდილა ჯერ ქართულათ, არამც თუ იქაური ზეპირ ვაღმოცემები* შეკრიბოს ვისმე. დრო კი მიდის და თან მიჰქვს ეს დიდებული განძიც ჩვენი კულტურული ცხოვრებისა, რადგან მოხუცი იხილებიან და, აკაკის არ იყოს, ახალდგმას აღარ ეხალისება ეს ძველებური საზეპროები*. უკანასკნელი ან ჩვენ სახალხო შუალეგში აღზრდილი, ან ჩვენი დაბა-ქალაქების სამიკრნობეში გაჩეუული სულ სხვა გზას დადგომია: პირველი „ЖИТЬ СМЫСЛ У НАШУШИ“-ს ხმაზე; „ჩემსა ბებ-ას ლურჯი თხა ჰყავდა-ა“ გაკვირან „დედა-ენიდან“ და მეორეი „შენც ლამაზი, მეც ლამაზი კეკელჯანი“ და სხვა... ცოტა კიდევ და მერე გვიანა იქნება... ამიტომაც ყოველი ქართველის მოვალეობას შეადგენს იზრუნოს, რომ აკაკის ხმა არ დარჩეს ჰხად მკლადღებლის უღაბნოსა შინა* და თავი მოგებს ამ საქმეს. ეს არც ისე ძნელია, როგორც, შეიძლება, ზაგიერთებს ეგონოს. სულ ცოტა რომ ვთქვათ, ასი კაცი მაინც როგორ არ გამოჩნდება მთელ საქართველოში იმ-სთანა, რაც ყოველ წლობით თითო თუმანი დაიკისროს ამ საქმისთვის და ასი თუმანთ, თუ მივიღებთ მგედგეობაში ჩვენის ერის გულუხეობას და სტუმართ მოყვარეობას, ორი-სამი კაცი ჩინებულათ იცხოვრებს ერთის წლის განმავლობაში და იგლას სოფელ-სოფელ. ეს ჩემის აზრით სულ მცირეა, რადგან დარწმუნებულნი ვარ, ასი კაცი კი არა, ათასიც იქნება იმისთანა, რომ ერთი მეორეზე თუმანი გაიღოს წელიწადში (თუ მეტი არა, ათას-ათასი ხელისმომწერნი ხომ ჰყავს ამ ყმათ ჩვენ ქურნალ-ვახეთებს, რომ ორ სამ თუმანობით ყოველ წლიე იხდიან?) და ათასი თუმანით ხომ ოც ყმაწიელ კაცს ვიყოლიებთ, რომელნიც მთელს ჩვენს საქართველოს მოე-

ფინებია. აურაცხელია ის შედეგი, რაც ჩვენ მიერ გამოღებულს ამ მცირე წელიწდის მოწყება: ჯერ, „კვალის“ თქმის არ იყოს, ის რათ ეღირება, რომ ჩვენ, წრეს გარეშე დარჩენილ ყმაწიელ-კაცობას საქმეს გაუწუნთ ჩვენშივე და ლუკმა-პურს მიეცემთ, გარდა ამისა განათლებასაც შეეიტანთ ხალხში და შეეკრებთ, როგორც ზეპირ-ვაღმოცემებს*, ისე ყოველსავე სხვა საქირო მასალასაც. ვაზ „იერიის“ № 21-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბნ ლალისა იმაზე, თუ რა მიუცილებელი საქიროა სტატისტიკური ცნობების შეკრება ჩვენის ხალხის ეკონომიურის ვითარების შესახებ.

ეს მართლა, რომ ერთი უსაქიროესი საგანთავანია დღეს და ჩვენც ამ ცნობების შეკრებასაც იმათეე დაევალებთ. ამისთვის საქირო იქნება მხოლოდ რიგიანათ შემუშავებული პროგრამა მიეცეთ, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ცნობების შეკრების დროს. კიდევ ვიმეორებ, ძნელი აქ არაფერია; ოღონდ ვისურვოთ და ყველაფერი გაკეთდება. იმეღია, სხვა ჩვენი ქურნალ-ვახეთებიც მხარს მიცემენ ამაში „კვალს“ („შობამეში“ დასტამბული სტატია „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო და სასტეტიკო მნიშვნელობა“-ც ხომ სახალხო პოეზიის შეკრების და დარეგების საქიროებაზე ლაპარაკობს?) და ამ ნიართ ერთი საქმე მაინც ექნება ქართველ საზოგადოებას და ქართულ მწერლობას, რომელიც ყველას შეავრთებს. არც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უნდა დაიშუროს ამ საქმისთვის თავისი წელილი, მით უმეტეს, რომ თავის პირდაპირ დანიშნულებას გარეშე მიზნების გამო ევლარ ასრულებს. მაშ, გამართოთ ხელისმომწერა, თუ ეინ რამდენის გადახდას იკისრებს ყოველ წლობით და შედეგა თუ ბერი არა იმდენი მაინც, რომ რამდენიმე ყმაწვილის დაქირავება შეეძებლება მაშინვე დავიწყოთ საქმე! ჩემის აზრით, პირველათ დასაყვამთ საქართველოს უნდა მიექცეს ყურადღება და კერძოთ სამეგრელოს, რომელიც დროთა-ვითარებას სულ განზე გაუგდია და ლამის მოწყეტოს კიდევ ქართველობას. დასასრულ, ეაცხადებ, რომ მე მზათ ვარ ყოველ წლიე თითო თუმანი გადაიხიდა ამ ამ საქმისთვის 1895 წლიდან დაწყებულ.

*) ის. უკანასკნელი XVIII გამოცემა, მაგალიათი „Сборник матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа“, სადაც მოთავსებულია მეგრული სამეგრეო ნოტები ქანჯროზგოვისა, — მეგრული ტექსტი იე პეტროვისა, ეთნოგრაფიული წერილები ტუნჯოვისა, მაშურგისა და სს.. ის. აგრეთვე წინასწადგი გამოცემაში ამ კრებულისა.

სხვა-და-სხვა ამბები



მთლ ლეივს წერილები კავკასიაში მოგზაურობის შესახებ ამ დღებში ცალკე წიგნით გამოვიდა ქვეყნაში ამ სათაურით „A travers le Caucasi“. წიგნი დიდი ფორმატისაა და შეიცავს 320 გვ. შიგ ჩართულია მრავალი სურათები ჩვენი ქვეყნის ბუნების, პირების და ქალაქების. აი, რა სურათებია: 1) ბათუმი შორიდან, 2) აჭარელი ზაფთია (ტენზე, 3) ქუთაისი, ქუთაისის ბაზრობა, 4) მეტეხის ეკლესია თფლისში, 5) მეტეხის სასურობლო, 6) თფლისი, 7) თფლისის ქუჩა თულუხნებით, 8) ზოტანიკური ბაღის ხეობა - ნანგრევით, 9) ორბელის კანცელარია, 10) მესტიის (Mestia) ეკლესიის ბიზანტიური მხატვრობა, 11) კოშკი მესტიის ახლოს, 12) თავისუფალი სენი (ბეზოდან), 13) ბეზოს ქალები, 14) ალფანას ახლოვანდა ბიჭები, 15) ორბელის კანცელარია და მკვიდრთა ერთი ჯგუფი, 16) შურის ყელი, 17) იმერელი (კავრიდან), 18) ცაგერი, 19) ლენტეხის კანცელარია, 20) იესობა, 21) ხლებული სენები (ტენებზე) და სხ. სურათები ჩინებულია. წიგნის ფასი 10 ფრ.

* *

კვირას, 12 მარტს, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის თეატრში გამართული იქნება კონცერტი ახალი შემადგარი ამხანაგობის ქართული ხორიდან ბ. ი. ი. რატილის თაოსნობით. სხვათა შორის ამ კონცერტისთვის რამდენიმე ახალი სიმღერებია მომზადებული გურული და ევროპული ხმებისა. კონცერტის გათვებას შემდეგ წარმოადგენილი იქნება ვოდ. I მოქ. აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა. მომპყმენი პირნი: ბ. აბაშიძე, გელევიანიშვილი და ქ-ნი საფაროვისა. იმერია, რომ ამ ახალ ამხანაგობას თანაგრძნობას გაუწევს ჩვენი საზოგადოება...

* *

ქართულმა რამატიულმა კონცერტმა მარტს ორს ჩინებულათ ჩაიარა. დიდ ძალი საზოგადოება ქართველსომეხთა დაესწრო ამ საღამოს. ჩინებულათ წაიკითხეს ლექსები, ზოგი ქართული და ზოგი ქართულიდან ნათარგმნი რუსულთ. გრ. აბაშიძემ, დარსკიმ, ნ. ერისთავმა. ე. თუმანიშვილმა. გარდელიანმა ლამაზათ იმღერა: „ოპ მერცხალო, მერცხალო“. ე. აბაშიძისა და გელევიანიშვილის კომიკურმა კულეტებმა ძალიან გაამხიარულა საზოგადოება.

* *

სამეურნეო და სახემწიფო ქონებათა მიწისტრმა შემოთვალა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ მოიწვიეთ ადგილობრივი შემამულეები და და.

დგინეთ, რა ღონისძიებით უფრო ადვილათ გამოცელდება კავკასიის მხარეებში ბაზის, ბრინჯის და აბრეშუმის მოყვანა. ამასთანავე გამოიკვლიეთ გენაგენის თესვა და მისი მოყვანა რა ღონისძიებით გამოცელდება კავკასიაში, რადგან იმას დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია მეოჯახეებისათვის.

* *

სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა სამარყანდიდან ახალი ხორბლის თესლი, რომელიც ურწყავ ადგილებზე დაც კარგათ მოდის. კარგი იქნება, ჩვენი შემამულეები მოითხოვდნენ ამ ხორბლის თესლს და შინჯავდნენ თავიანთ ურწყავ ადგილებში. იქნება მართლა კარგათ გაიხაროს ჩვენი ქვეყანაში და უფრო ხევიანი მოსავალი მოგვეცეს ხოლმე, ზღუერი სიმინდისა არ იყოს.

* *

პირველ მარტს ამოუვიდა მოგება შემდეგ ბილეთებს:

სუკია.	ფენ.	მოცუბ.	სუკია.	აილ.	მოცუბ.
1199	28	20000	2138	32	1000
9313	37	75000	12525	19	1000
14044	32	40000	13767	31	1000
1461	30	25000	13372	40	1000
17737	38	10000	1312	45	1000
15764	12	10000	3756	9	1000
5274	36	10000	19823	26	1000
14973	36	8000	1406	34	1000
15700	37	8000	12660	15	1000
421	2	8000	5687	33	1000
17505	24	8000	4365	10	1000
12046	32	8000	18279	5	1000
2042	5	5000	1423	44	1000
15379	37	5000	18297	18	1000
308	15	5000	4967	26	1000
14844	50	5000	1248	25	1000
9489	31	5000	8796	45	1000
9682	44	5000	4744	47	1000
16805	27	5000	5566	33	1000
18506	11	5000	11027	38	1000

* *

განათლების მინისტრმა მიწერა კავკასიის სა-მოსწავლო მხარეველს, რომ შემუდგეთ გამართოთ კითხვა სხვა-და-სხვა ხელოსნობის შესასწავლა-თ, კვირაობით და ყოველსაღამოობითა. მინისტრის აზრით, სხვა-და-სხვა ნაირი ხელოსნობის შესწავლა ყველას გამოადგება ცხოვრებაში არამეტუ უბრალო უსწავლელს, არამედ საშუალო სასწავლებელში კურს დასრულებულსაცაო.

* *

ჩვენი სამეურნეო ბანკის დამტკიცებული წესდება უკვე მოგვივიდა. ის არის დასტამბული ამ წლის მთავრობის დაკანონებათა და განკარგულე-ბათა კრებულში* № 32.

* *

ამ ქვათ პეტერბურგს სამეურნეო სამინისტროს რჩევაში შემდგარა კომისია, რომლის სხდომაში მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნიდან წასული ფილოქსერის პარტიის წარმომადგენლები. ამათ უნდა განიხილონ ის, შარშან რამ პარაფსორებმა კოვალენსიმ და მელაქომა გამოაძიება მოახდინეს ფილოქსერის გავრცელების შესახებ ჩვენ ქვეყანაში. ფიქრობენ, ადგილობრივ მემამულეებისაგან შეადგინონ კომისია და იმათ მიანდონ ბრძოლა ფილოქსერასთან. ფილოქსერის მოსასპობათ კავკასიაში ამ წლისათვის სამეურნეო სამინისტროს გადაუდევს 270,000 მ. და 45,000 მანეთი კიდევ გამოუგზავნია სამეურნეო საზოგადოებისათვის.

* *

სენ მოვივიდა დეკ. ლამაზობის მიერ გამოცემული ლიტურგაფიულათ დახატული სურათი ფეხბიტყაოსნიდან, შედგენილი ზინის მიერ. სურათი წარმოადგენს იმ დროს, როცა შოთა რუსთაველი მხარტმვეს თავის სურათს თამარ-დედოფალს.

* *

გამოვიდა ცალკე ვალტერ-სკოტის რომანი „აიენგო“, რომელიც იბეჭდებოდა „მოამბეში“ წარსულ წელს. თარგმანი მძიმე ენით არის, სტილი არეულა. ენის კილო თფილისურია და, როგორც მოგეხსენებათ, თფილისური ქართული კილო არაფერის საღიერებატურო კიდეა. „ყალბაყი“, „ტობრაკი“ „პიროგი“, „თავითი“, „ხამუშ-ხამუშ“ და სხვა

ამისთანა გადარუსებული და გადათარგმნებული გადასომხებული სიტყვები ბევრი იპოვება. „განათების“ მაგიერათ „მიაშუქა“, ან „გაძალბა“-ს მაგიერათ „გაძალიანება“ და ამისთანა ჩიქორთული ბევრია მოთხრობაში ნახმარი. წიგნი ღირს ძვირათ იმისა და შესაფერათ, რაც რედაქციას დაუჯდებოდა, რადგან მოთხრობა „მოამბეში“ იბეჭდებოდა და იქიდან ცალკე წიგნათ გამოცემა არ უნდა ითხოვდეს ბევრ ხარჯს.

* *

ცისხვადი. ამ სამი კვირის წინ ცხინვალიდან კარგა შორს მანძილზე მდებარე სოფელში ორი ღარიბი გლეხი ავით გახთა. ერთი საუფლიო და მეორე ფილტვის ანთებით. მე მივმართე ვასილ ზუცოვს ცხინვალის ფერშალს და შეეცაობინე გაჭირება გლენებნა. ბ. ზუცოვი შევიდა მათ მდგომარეობაში, წამოაკეცა, გაშინჯა ავითყოფები, თავის ხარჯით წამალი გამოუწერა ორჯელ-სამჯერაც. ამას შემდეგ ნახა ისინი და ორივე ავითყოფი უსასყიდლოთ მოაჩინა.

არ შემიძლია, ეს ამბავი არ გაცნობო მკითხველ-საზოგადოებას და თანაც გაზუთის საშუალებით მაღლობა არ გამოეუცხადო მას ასეთი თანავრძნობისათვის.

ტაუა გვაძე

ურწმუნობა

ბეტავი თუ არის სადმე იმისთანა ტურფა მხარე, რომ სიმართლე ქეშპირტსა ნათელს ჰვეუნებს, ვითა მთვარე?

კავშირი და მეგობრობა არ იცოდენ ანგარიშით და გულისთქმას არ ფარავდენ არც მეუკაით, არცა შიშით,

სად ზნეობა კაცობრივი სიმდიდრის წინ არ მოხრილა და ეს სენი დამამხობი სულ ძირითურთ ამოფხვრილა,

სად სიყვარულს, მაღალ მცნებას, აღთქმულ წმინდა აღსარებათ. თაყვანს ცემენ, აღიდგენ, არ შექმნიან ანგარებათ...

ამგვარ ძღვეით მონათ ქმნილი ყოველ სასჯელს იტვირთებდეს, მისთვის მღერდეს და ტიროდეს, ეინც იას და ვარღს უკრფედეს!..

სად ამ გვირგვინთ კაცთ აღმადგენს გაბარწყინებულს სხვი-მომფინარს, ყველა ერთხმათ უგალობდენ რალაც ტუბილ ხმას მოსალხინარს!..

ამებით მოხიბლულთა მუნ მგოსანთა ჩანგი მწყობრათ,



სიმთა ჟღერით გამოთქმილენ
გრძნობებს, მათღა შესამკობრათ.

მე არ მრწამს და თუ საღმეა
იმისთანა ტურფა მხარე,
ძალთა ძალო! მამცენე ტანჯულს
ერთ გზის მიანიც გამახარე.

ვისიც ნდობა ყოვლისადმი
მგრძნობარ გულში ამღერეულა
და ტაძარი ამ რწმუნების
შეძრეულა და დანგრეულა,

იქ მომხადე ტვირთი მიმიგე,
კრადილს სულსა იქ გამაყარე,
სამუღამო მყუდროების
იქ საეანე დამიმყარე!..

დ. სახმერე 12 იანვარს 1895 წ. რესპონდენტი

გაზ. „ივერია“ და ეროვნება



მ ბოლოს დროს „მოამბე“ (№ 1) და „ივერია“ (№ 15) ერთ საყურადღებო კითხვის შესახებ აღძრეს ბაასი,—ეს არის პარტიობის არსებობა ჩვენში. კითხვა თვითდამე ასე დადგინდა: სასურველია თუ არა პარტიების აღორძინება? „მოამბე“ გამოთქვა, სასურველიაო, ივერია კი არ არის სასურველიო. ჩვენ ამ საკანს სხვა მხრივ გავშინჯავთ. საქმე იმაში კი არ არის, მოვლენათა გუნდი ორთა გაყო. ერთს უწოდო ტუდი, მეორეს კარგი, ერთთ აღტაცებაში მოხვიდოდე, მეორე კი გეზიზღებოდეს. ვისაც საგნის გაცნობა სურს, ის პირველათ იკითხავს: აქეს თუ არა საფუძველი ამა თუ იმ მოვლენას. თუ მოვლენა ჯერ კიდევ არ გამოაშკარაებულა ერთიანათ და საესებით, მაშინ კითხვა ასე უნდა დადგეს: შესაძლებელია ამ გვარი მოვლენის გამოჩენა? ერთი სიტყვით გამოარკვეული უნდა იქმანს მიზეზი მისი არსებობისა, უნდა ვადიშინჯოს ნიადაგი და მისი შემადგენელი ახალი და ძველი ელემენტები გამოიჩინოს. შეიძლება მოვლენა სრულიათუც არ იყოს სასურველი, მაგრამ ისეთი ნიადაგი მომზადდეს, რომ მისი აღმოაუტენლობა შეუძლებელი გახდეს; ან კიდევ ძლიერ სასურველიც იყოს, მაგრამ საემარისი მიზეზები არ მოეპოვებოდეს და საზღუდამთ გაქრეს. დასები ვერც აღიზალება და ვერც მოსიპობა თითო-ოროლას სურვილით, ხელოვნურათ. ისინი ცხოვრების განვითარების მიერ უნდა იქმნენ წარმოშობილნი და ფესვეს გამაგრებულნი. ამისათვის ჩვენ ვეკითხავთ: შესაძლებელია თუ არა ჩვენში დასების გაჩენა? მ. ი. არის ისეთი საზოგადო კითხვები, რომელთაც ყოველნი და ყველანი ერთიანათ არ გადაქრიათ? სანამ ამაზე მიუგებდეთ, საჭიროა ცხოვრების გულში ჩახედვა. იქნება თვითონ ცხოვრებას მოგვეცეს—თელ-

თა ხედვის წერტილი მოვლენა თავასათელისწინებლათ და გასაგებათ.

ჩვენი ცხოვრების შესახებ ჩვენი აზრი გამოეთქვით ორს წერილში (ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ „მოამბე“ № 5—6), რომლის დედააზრს აქ მოვიყვანთ; საქართველოს დღევანდელი განვითარება შეიცავს ორ მხარეს, ორივეს აუტოლებელს და ერთმანეთსან მჭიდროთ შეკავშირებულს: ნიეთიერთათ გავერთიანებთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის და ნიეთიერთათ დაყოფა ქართველი ხალხის. ორივე ხდება აღმზიკველობის, კაპიტალის წყალობით. პირველ შემთხვევაში თუ ერთი ერთიანდება იდეებით ეროვნული თვით-ცნობიერების ნიადაგზე, მეორე შემთხვევაში იგივე ერთი ნაწილდება ინტერესებით ეკონომიური თვით-ცნობიერების ნიადაგზე ყოველივე ფენის ნაზიჯი ჩვენ მიერ წინ გადადგმული მოასწავებს ეროვნული შრომის, საწარმოო ძალის განვითარებას—ერთი მხრით, კლასიკური განხუთქილების, სოციალური ანტაგონიზმის აღორძინებას—მეორე მხრით. ეს ორი მხარე ერთი მეორის შეილია, პირველი იწვევს მეორეს, მეორე ავითარებს პირველს. ჩვენი ცხოვრება, რომლის მიზანარს წინათ წოდებრივი წყობილება და პარტიკულურ-იდილიური დამოკიდებულება შეუადგენდა, დღეს გავერპოვილების გზას დაადგა.

წოდებების ფაქტურათა გუთქმება და ხალხის დაყოფა თანამათ სიმდიდრე-სიღარიბისა—აი, ეს გზა. აქ ირღვევა ძველებური იდილიური განწყობილება და მის ალაგას გულ-ცივი, მშრალი ბურჟუაზიული ანგარიში დდება. ამგვართ ეროვნული და სოციალური კითხვა აი, ის ორი ფენი, რომელზედაც ცხოვრება შედგა და საშინელი სისწრაფით წინ მიექანება. ეს ჩვენი არსებობის დედა-ძარღვია, ეს ჩვენი წარმატების საფუძველია. ასეთია სინამდვილე. შეიძლება აქ დასების გაჩენა? „ივერია“ გვეუბნება, მათი „არსებობა ჩვენი ცხოვრების ბუნებრივი (!) მო-

თხოვნილებას არ შეადგენსა“, რადგანაც ჩვენ ყველას ერთი საქმე, ერთი მიზანი გვაქვს—ეროვნობის დაცვა. ეს აზრი ჩვენი უპირველესი მოტივია და უახლოესი საფეხური, ეტაპი, რომელსაც უნდა მივიღწიოთ. ხოლო როდესაც ამ საფეხურს ავადწევთ, მაშინ თვით ცხოვრება მოითხოვს ჩვენს დანაწილებას სხვადასხვა მიმართულებათ. ამ სახით „ივერიას“ ჰეგონია, ცხოვრება ასეთი მის მიერ დამწკრივებული საფეხურებით მიმდინარეობს, ჯერ ერთი, მერე მეორეო. ნამდვილათ კი ყოველივე მოვლენას იარი მხარე აქვს: კანსერვატიული და პროგრესიული. ამ იარი წინააღმდეგობის შეტაკებით მოძრაობს თვით მოვლენა. ჩვენი თანამედროვე ცხოვრების საჩუხელი ეკონომიური წარმატება, რამაც დაბადა ეროვნული გეოგრაფიული და სოციალური დანაწილება. საქართველო ერთი, განუყოფელი; საქართველო იარი, სიმდიდრე-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი. თუ პირველ კათხვანზე ვერთდებით, მეორეზე ვიყოფით. თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთად ვდგევართ, ეს არის არსებითი თვისება უპაღლესი განვითარების. როცა „ივერია“ ამბობს, ჩვენში დასები არ არისო, ამით მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრება ჯერ ჩილი, განუვითარებელიაო. ხოლო როცა გვარწმუნებს, რომ ჩვენში დასები არც უნდა იყოსო, ამით

მხოლოდ ჩვენი განუვითარებლობა პრინციპით აცხადებს და აკანონებს, ჩვენ ვერ განუვითარებდითო. განვიხილოთ ვივეგი კითხვა სხვა: მხრივ. „ივერია“ წერს: „ახლს და ლიტერატურის ჰყოფს მრავალ პარტიათ თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება“. რუსეთში ამგვარი თავისუფლება არ არის, მაგრამ მისი ამ საუკუნის ისტორია, პარტიების ისტორიაა. განა დღესაც არ არსებობს რუსულ მწერლობაში სხვადასხვა მიმართულება? სანამ ევროპაში პოლიტიკური თავისუფლება დამკვიდრდებოდა, მანამდისაც არსებობდნენ პარტიები. საფრანგეთში ენციკლოპედისტები (XVIII საუკ.) გერმანიაში მემარცხენე ჰეგელიანები და რადიკალები (ამ საუკუნის პირველი ნახევარი), ინგლისში ნიველისტები და სხ. (მე-XVII საუკ.). ამათი წინააღმდეგნი იყენ სხვადასხვა კანსერვატიკური დასები. როცა ასეთმა პარტიებამ მოიცილა ფეხი, მაშინ ცხოვრებამაც ძირითადი ცვლილება მოახდინა, რაც ამტკიცებს იმას, რომ პარტიობა სიმწიფის ნიშანია. „ივერია“ გვეტყვის: ყველა ეს დამოუკიდებელ ერში წარმოებს, დამოკიდებული, დაზარალებული ერი ასე არ ჰყოფს თავის ძალასაო. მართალია ეს? გავმინჯოთ ისტორია და დღევანდელი ცხოვრება.

ნ. კორძია

(შემაჯგი იქნება)

ს ი ტ ყ ვ ა

წამოთქმული ოჯახის რომაა კათოლიკეთა ეკლესიაში ნეტარსენებულის თ. დიმიტრი თუმანიშვილის ანგარიშის აგების დროს, 11 ანგარს 1895 წ. (ეს სიტყვა დასტურდება შემოკლებით, რადგან მომეტებული ნაწილი მისი ბიოგრაფიული ცნობებისა, რომელნიც ამ სიტყვაში არიან მოყვანილნი, უკვე დასტურებული იყო ამ წლის „გაზეთში“.

იღერეშიან და ერმან შეიყვარა იგი, კერძოხელ არს სხენება მისი“.



ს საღმრთოაწერილის სიტყვები სამართლიანთ შეგვიძლია მივათვინოთ აწ გადაცვალებულ ჩვენს ძმას და თანამშრომელს მოციქულბრძოლის ღვაწლში მამა დიმიტრის. საზოგადო და ღრმა მწუხარება, რომელიც ფარდასავით ჰკვრავს ამ კუბოს, ოხერა და ცრემლი, დამარცხი სიჩუმისა, ყველაზე უკეთესათ გემოწმობენ მას თუ როგორი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა

ნეტარსენებულმა მღვდელმა დიმიტრიმ თავის ნაცნობთა შორის და რანაირა მწუხარებით აღეცხა ყველას გული, როდესაც იგრძნეს სამუდამოდ დაკარგვა ამისთანა განვითარებულის პირისა,—რომელიც იყო აღესილი გულწრფელობით. ის იყო ღვთის მოსავი, უღლმობადინე და გამოკიდლი დაპირატებული მოზარდე თაობისა...


დასამთავრებელათ სწავლისა იგი გავმგზავრა საზღვარ-გარეთ ქ. რომს—კათოლიკეთა სამეცნიერო ცენტრში, სადაც თანამედროვე მნათობთა ხელმძღვანელობით სწავლობდა რამდენიმე წელიწადი ღვთის მეტყველებას. დაგვირგინებული ქებით და დამტკიცებული მისგანვე ამორჩეული წოდებაში, განათლებული და გულმოდინე მოღვაწე მღვდელი თ. დიმიტრი თუმანიშვილი დაბრუნდა სამშობლოში იმ განზრახვით, რომ დაუზარებელი სამსახური და სულიერი დახმარება გაეწია მოძმეთათვის, რომელნიც გატაცებით უყვარდა მას სამარგმდის. ახალგაზრდა მღვდელმა მალე დაიმსახურა ყურადღება მთავრობისა, დაჯილდოებულ იქნა დეკანოზის ხარის-

ხით და დაინიშნა ლეთის-სჯულის მასწავლებლათ ქ. ქუთაისში, სადაც იგი დაუღალავით შრომობდა. სამწუხაროთ, დიდი ხანი არ მოუხდა მას სამშობლო ქვეყანაში სამსახური. მთავრობის განკარგულებით იგი უნდა გადმოსულიყო ოდესამი ლეთის-სჯულის მასწავლებლათ.

ქართველ კათოლიკეთა მრავალ გზის თხოვნის გამო, მთავრობამ ორ წელს შემდეგ დააბრუნა მათი ძვირფასი მოძღვარი ქ. თბილისში. მისი ნაყოფიერი შრომა და ნამსახურება თბილისსა და ქუთაისში დარჩებიან სამუდამო ძეგლათ, თავკანწირულის მოღვაწეობისა. ქ. ქუთაისში, ზოგი თავისი საშუალებებით და ზოგიც მრევლთა დახმარებით დააფუძნა მან შკოლა ქართველ კათოლიკეთა ყრმათათვის. ამინაიათვე გადაკეთა თბილისის ქართველ კათოლიკეთა შკოლა, რომელიც იყო მოთავსებული ეკლესიის ეზოში და თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია განაახლა და განაშენიერა. უღრმესი პატივისცემით შეცქეროდა ამ საზოგადო მოღვაწეს მისი მრევლი. როდესაც ასე დაუცხრომლათ შრომობდა, მთავრობამ განიზრახა მისი დაბრუნება ოდესაში, სადაც სასწავლებელინი მოკლებულნი იყვნენ ლეთის სჯულის მასწავლებელს.

მოსწავლე ყრმანი მუდამ სიყვარულით ემყდრებოდნენ მას, ხოლო სხვა აღსარების მიმდევარი და პატივისცემენ.

ჩვენ აქაური მღვდლებისათვის იგი იყო ცხოველ სახეთ და მაგალითათ მისი, თუ როგორ გვიყვარდეს ღმერთი, როგორი თავკანწირულებით უნდა ევმსახუროთ მოძმეთა ჩვენთა, როგორ უნდა ციხუროთ და ეიმოქმელოთ, რომ არ მივეცეთ საცდურსა და ურიგო ცხოვრებას, არამედ გავაბრუნებინათ და განვაძვიროთ გონება ჩვენი ლეთიური ნათლითა.



დონ დიმიტრი (თუშინშვილი)

ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა დიდი მეცადინეობა იხმარეს, რომ დაებრუნებიათ სამშობლო ქვეყანაში მ. დიმიტრი თუშინშვილი. ზალი მთავრობამ შეისმინა ოსონა. ქართველ კათოლიკეთა ღვდელი მ. დიმიტრი გადაიყვანეს ისევე ქუთაისში, სადაც აღტაცებით მიელოდა მას იქაური ქართველი კათოლიკობა. შარზან შემოდგომაზე მოვიდა მისი გადაყვანის ქალაქი, ამ მოწერილობის გამო გაზავნა მან თავისი ნივთები სამშობლოში, თვითონაც მომზადებული იყო გასამგზავრებათ, უც-

რეა წლის განმავლობაში ჩვენ ვიყავით მოწამე მისი დაუცხრომელი შრომისა. რეიანი სახელმძღვანელო წიგნების უქონლობამ რუსულს ენაზე, რომელზედაც უნდა ვსწავლებინა საღმრთოარჯული, გამოიწვია იგი, შეედგინა და თავისი საშუალებებით დადებულ „ისტორია რომთა კათოლიკე ეკლესიისა“, რომელიც აქამომდე ერთ უკეთეს სახელმძღვანელოთაგანია და მისი ბადალი არ შემხვედრია არამც თუ ჩვენში, არამედ საზღვარ გარეთაც. მეორე მისი თხზულება „სახელმძღვანელო სასწავლებლათ რეიითა კათოლიკე ლიტერატურისა“ შეიცავს მარტივს და გასაკებ ენით დაწერილს წესებს წმ. ლიტურგიისას საიდუმლოთა და სხვა საეკლესიო მსახურებათა.

და მხოლოთ მოადგილეს, რამ არ დავობდებინა ოდესის სასწავლებლები, მაგრამ ღმერთმა სხენაირათ იწება. გულის ავთმკოფოზამ უფრო-და-უფრო უმზა და ჩაავდო ლოგინათ, საიდანაც სულკურთხეული აღარ ამდგარა...

დასასრულ, ძმანო დონ დიმიტრის სახსოვრათ მტკიცეთ უნდა გვახსოვდეს, რა სიტყვებით გვაფრთხილებს ჩვენ უფალი ჩვენი იესო ქრისტე: „ილიძებით და ილოცილით, შრძანებს იგი, რათა არა მთავარდეთ განსაცდელსა“. აი, როგორი მცნება დაგვიტოვა ჩვენ გადაცალკებულმა მოძღვარმა. ეს არა უყანასკნელი მისი სურვილი, რომელსაც იგი კუბადან მოგვეგონებს ჩემი პირით. ასრულდება მისი მცნებისა იქნება ყველაზე უკეთეს უძვირფასეს და სამუდამო გვირგვინათ, რომელსაც კი დავადებთ მის კუბას. ამინ.

ტორნილი და ვასკენება ბაქონიშვილის ალექსანდრე ბაგრატიონისა ს. ლვანეთის



ებერვლის 23-ს შესანიშნავი და გულის გასაგმირი ამბავი იყო ს. ლვანეთის მიცვალებულის ალექსანდრე ბაგრატიონის ოჯახში. მეცნიერი მასპერო რომ დსწრებოდა ამ ამბავს, მიუცილებლათ წამოიძახებდა: „აი, ჩემ თვალწინ გაცოცხლებულია სამიოთხის წლის კაცობრიობის განათლების სურათითა. როდესაც მე ფარაონ ხეფერის (ხეოპსის) აკლდამის კედლებზე გენადედი დახატულს სურათებს მიცვალებულის ტირილისას, მე კიდევ თეთონ კარგათ არ ვიყავი დარწმუნებული, მართლათ ვხსნიდი აზრს ამ შესანიშნავ ჩვეულებისას, თუ არაო. დღეს, როდესაც ამავე საწუხარო ამბავს ცოცხლათ გენადე იმერეთში, მე ეჭვი აღარ მაქვს, რაც რომ ჩემ სამეცნიერო წიგნში გამოვიკვლიე ეგვიპტის ზნე-ჩვეულებებზე და ცხოვრებაზე, სრულიად მართალი ყოფილა და ამას თანავე ისიც ვჯერა, რომ ეგვიპტეს და კოლხიდას (სამეგრელო-იმერეთს) ძალიან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდათ ურთიერთშორის და მათს განათლებას ღიდა გეგუნა მქონიათ ერთმანეთზე. ასეთი მგზავლება უმისათ არ უნდა მომხდარიყო, თუ ამ ორ ქვეყანას ერთმანეთში ზღვით და ხმელეთით მისვლა-მოსვლა არ ექნებოდა ვაჭრობისა და სამხედრო ურთიერთობის წყალობით. მეცნიერა მასპერო, რომ ლვანეთში დასწრებოდა, იტყადა: რაც მე ხეფერის აკლდამებში კედლებზე დახატულნი ვნახე, იგივე წარმომიდა თვალწინ ცოცხალ სურათით დღეს ბატონიშვილის ალექსანდრეს ცხენდრის ტირილზეო. ამისგანაო ის კიდევ უფრო დიდ მწიშენდობას მიცემდა ჩემს საქართველოს ერის კულტურას და მის შესწავლას მათგლითა ისტორიის ბნელს საუკუნოებზე ნათლის მისავენათ, საწუხაროთ, ჩვენ არ ვართ დღეს მჭიდროთ დაკავშირებული ისეთ განათლებულ ერთან, რომელსაც ვკუთვნის მეცნიერა მასპერო, რომ ვიყოთ ჩვენი ღირსებისამებრ დაფასებულნი და შესწავლულნი. ყოველივე ძვირფასი ჩვეულება, რომელშიაც მარგალიტსავით, გამოსჭვივის ჩვენი ერის სამიძველ და ემწევა უძველესი კვალი უმაღლესი განათლებისა, დღეს უმეცარათა და უგნურთავან შეუზნებლათ იღვენება და იქველება... ბოდიშს ვხვდი მკითხველთა, რომ ცოტა არ იყოს, გადაეცდი, ჩემს პირდაპირ სავანს.

როდესაც მიცვალებული შეასვენეს თავის ეზოში, თმა გაშლილმა მისმა მეუღლემ კნინა იდი-

ტორმა*) გულსაკლავი ხმით წამოიძახა: „ჩემო ოჯახო, ჯვარი ვწერია უბედური დედის თვალისაგან, რომელმაც იმ პირველიდანვე თავის შემოსვლით გაგაუბედურა“. ამ სიტყვებმა ელექტრონის ნაკადულსავით დაუარა ხალხს, გული აუჩვილა მათ და გაისმა საყველთათო საზარელი ქვითინი. მიცვალებული ძვირფას ბაღდაბის ქვეშ დასვენეს სასახლის დარბაზში. დარბაზის კედლები და წინა ოთახი იყო გაკრული შავით. თვით დარბაზის იატაკზე იყო დაფენილი ხალები და ზედ ისხდენ ორ რიგით მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებული შავით დამოსილი თმა-გაშლილი ქირსუფალი ქალები. დარბაზის შემოსასვლელ კარებიდან მიცვალებულის ბაღდაბისაგან იყო გზა დარჩენილი, რომ მოტირალნი რიგ-რიგათ შემოსულიყვენ დარბაზში, ჯერ მიცვალებული ეტირათ და შემდეგ მისულიყვენ მის მეუღლესთან და მუტირათ. დარბაზის კარებში იყვენ დაყენებული კარის მცველები, რომელნიც მოტირალს რიგ-რიგათ უშვებდენ დარბაზში. კარის მცველები აგრეთვე დაყენებული იყვენ აიენის შესაჯალ კიბესთან, რომ ტირილის წესი არ დარღვეულიყო. აქვე კიბესთან იღვა განსვენებულის საჯდომი ცხენი შავით შეკაზმული. თვით ცხენი იყო შავით შემოსილი კოჭებამდის, ასე რომ მართა ყურები და თვალები უნდა. კიბის წინ დიდ ცაცხვექვმ იდგენ გურული მემუსიკეები, რომელნიც ყოველ მოტირალთა გუნდის მოსვლაზე დაუკრავდენ საწუხარო ხმებს. ერთი გუნდი მოზარეებისა იყო დაყენებული აიენში და მეორე გუნდი თვით დარბაზში. კიბის ქვემოთ ეზოს მინდორში ორწყებათ იყო ხალხი დამდგარი. აქვე ფრიალებდენ საეკლესიო დროშები და აღმებღ. ზოგიერთი სოფელი—მთლათ ქალი და კაცი მოდიოდა სატირლათ და თანაც მოჰქონდა თავისი საეკლესიო დროშა. ზოგი სოფელი კი მოდიოდა გვირგვინებით. რადგან მთელი ათი ქვეყა ეზო მოტირლებით იყო გატენილი, ამისთვის ცალ-ცალკე ტირილი შეუძლებელი იყო. საოცარი სურათი წამოგვიდგებოდათ, როცა რომელიმე თავადის გვარი მთელი ცხენოსანის რაზმით შემოვიდოდა ეზოში და ატყდებოდა დიდი გოდების ხმაურობა. ამ დროს

*) საკვირველია, რომ ამ სასქელშიც ქანის კვლი უძველესი ჩვენი განათლებისას. სასქელი „იდიტორს“ უნდა იყო ცოტათ შეგვლიდა სასქელი „პითოდორისა“. ამასქელი თაწ-ოჯებოდა პონტოელი მუგის პოლეპონას ასქელი, რომელს გერგხლის მანეთში პითოდორს გამოქანდაკებული სახით დღესაც მრავალი იშუკას სამეგრელო-იმერეთში. იტ.

ცხენთა ჭიჭინისა და ხალხის ზრიალისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. უნდა ეტრიათ თითო სოფლის კაცს, ან რომელიმე კუთხის მცხოვრებთ სულ ერთათ, როცა ერთი გუნდი გათავებდა ტირილს, რიგის მიმცემი დაძახებდა, რომ მეორე გუნდი წამოსულიყო სატირლად. ჯერ დაიკვროდა ზარი საქარავებთ ეზოში. შემდეგ, როცა გუნდი მოტირალთა მზალი ხმით დაიწებდა ტირილს, მრავალნი თავში იცემოდნენ, თმას იღვლეოდნენ, წვეტს იწიწკნიდნენ. ამ დროს აიენიში მდგარი მოზარეთა გუნდი დაწყებდა მწუხარე ვალოზას და ცდილობდა მოტირალთათვის ხმა შეეწყო. ვლოზის ზარი და თან ხმა-მალა მოთქმის ტირილი ერთ საზარელ-სამწუხარო მელოდიით ვამოდიოდა. ეს იყო გულ-საკლავი ხმა, რომელიც გულის სიღრმედას ჰქედნებოდა კაცს, სულს შეძრავდა და ცრემლიც თვალებიდან უნდა მოედინოდა. როცა მოტირალთა გუნდი შევიდა და დარბაზში მიცვალებულის საჩაპის, აქ დარბაზის მოზარეები შეუწყობდნენ ხმას მის ტირილის მოზარეთა ვალოზა შედგებოდა მხოლოდ ამ სიტყვებისაგან: „ეოი, ეაი, ეაი!.. ვაი!!!“ მიცვალებულის ბალდანითან უდგენ მძანი ხიდარბევიშვილები, ეს ლომ გულნი დარაჯნი ბატონიშვილისა და მოთქმით ტირაოდნენ. დარბაზში ახალგაუნდ-ს ტირილთან ერთად ატყდებოდა ჭირისუფალი ქალების მოთქმა-ზრიალი, თავში ცემა და თმების მოწყვა. ზოგი მათგანი ისე იყო მწუხარებით გამწარებული, რომ ლოყებსაც იკაწრავდა და ცრემლის სისხლიც თან ერეოდა. ამას რომ ეხედადეი, მაგონდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსები:

„სისხლმან და ცრემლმან გარკვიით
დაწყო ქმის ღარად დადარად...“

ბევრს მეცნიერ კრიტიკოსს ასეთი აწერილია ბა „ვეფხისტყაოსნისა“ განჯიადებულით და არა სარწმუნოთ მიანია, მაგრამ მე რომ ამის ცოცხალ სურათს თვით ეხედადეი, კიდევ უფრო დარწმუნდი „ვეფხისტყაოსნის“ დიდებულობაზე და მის ნამდვილს მატერობაზე ჩვენის ძველის ცხოვრების სურათებისას.

დარბაზში ერთ კუთხეში ამაღლებული ტახტი იყო ფარდებ-ჩაფარებული. შიგ ამ ფარდულში იჯდა განსვენებულის მეუღლე კნ. იდიტარა. ყოველ მიტირების დროს ფარდა გახსნებოდა და თმა-ვაშლილი კენია გამოჩნდებოდა. ის შეწიერი მწუხარე ხმით დაიწყებდა მოთქმას. ამ დროს კნ. იდიტარა თითქოს მზეთუნახავთ წარმოუდგებოდა კაცს, რომლის მწუხარებასაც ბნან და ხმას აძლევდნენ იმ მყოფი ჭირისულები. ასეთი ამავეი ვაგმელა მიეერთი ერთი კვირა, მაგრამ უმოაერესი გამოსახულება ტირილი იყო დანიშნული თებერვლის 23 და

24-ს. იქნებოდა ასე ხუთი საათი ნაშუადღევს, როცა მიცვალებული დარბაზიდან გამოასვენეს. აქ კიბეზე დაუხედა ბ-ნი თეოდ. ხესკეაძე, რომელმაც ყვირილის საზოგადოების მაგიერათ მიართვა გვირგვინი და უთხრა:

„უგანათლებულესო თაჯალო! აღჰქანადრე!“

„შენმა ასე უღროთ გადაცვალებამ წუხარების ცეცხლის აღი ანთო ყვირილის საზოგადოების გულში და დროთა ვითარების გამო ისეთაც დანაღვლიანებული გული კიდევ უფრო დანაღვლიანა, მწუხარებით დასტრა და ეს გულის ნატკენი, დაბალმულე იარები, ბნელი სამგლოვიარო ძაძით შემოსა. ამ ნაღვლიანის გულის ნაკრძინობის ვადმოსაცემათ და შენდამი ღრმა პატივისცემის ნიშნათ მონადევს მე მიტრედი გვირგვინით შემიქმო შენი საფლავი და რამდენიმე სიტყვა მეთქვა. ესარულებ რა ამ ჩემთვის ძვირფასს მონადობილვას, კრძალვით მოგახსენებთ:

როდესაც რომელსამე ერს ბედის ჩარხი უყუღმა დაუტრიალდება და ცხოვრება წარმატების გზას გადაუხეცვს, მაშინ ამგვარი ერის გამოამბარუნებელი და იმედების შუქის მოამფენი თითო ორ-ორი ისტორიული ნაშთი, ცოცხალი სახსოვარი, — ოქრას გულის მეკონე — შევიდა რჩემა ქვეყანას, რომლის გულის სიღრმეში ანთებულს მოძმისადმი სიყვარულის ცეცხლის მედგრათ შეუძლია ხანგრძლივი, მზურვალე სიტკბების შუქი მოფინოს გარშემო მყოფ თემს და გაათბოს, გააღვიძოს მისი დროთა ვითარებით დაზარული და გაყუჩებული გული. იგი აათამაშებს მასში ვეჯაკუტური ღონით საესე გრძობებს და გაიტაცებს შორს ჩვენი ქვეყნის ისტორიულს წარსულში. ა, ამ ისტორიულ ოცენების ჩრდილში ვახე ვართ სწორეთ ახალც, როდესაც ჩვენს წინაშე ჩვენის ერის წარსული დიდების ნაშთს და დღევანდელს ჩვენს სიამყეს, სიმპარტუნეს იმერეთის ისტორიულ ცხოვრების ძველათ დაშთენილს ბატონიშვილის აღექსანდრე ბაგრატიონის უსულგულო და უმეტყველო გაიცეხულ გეშმ დეცქერი. ეგებ ითქვას ვინმემ, რომ განსვენებული თვის მალალი წოდებით და ისტორიული შთამომავლობით იყო მხოლოდ პატივცემული. — არა, ბატონებო, ამგვარი შთამომავლობის პატრონი თითქო ორ-ორი კიდევ მოგვეძევიან ჩვენს დაქვეითებულ ქვეყანაში, მაგრამ იმ მზურვალე სიყვარულს იმ უანგარო პატივისცემა, რომლითაც ჩვენი საზოგადოება განურჩევლათ წოდებდა იყო მისდამი გამსკვალული, დარწმუნებით მოგახსენებო, ვერცინ ელირსება.

ეს ხედრია, მხოლოდ ღეთის მადლით საესე

განსვენებულის მგზავს რჩეულთათვის. ის მხურვალე კრემლი, რომლის ნაკადულიც გადმოდის თავადის, აზნაურის და გლეხის თვალებიდან, უძვირფასესი სამუდამო გვირგვინია განსვენებულის სიკაცობის სარბილზე მოქმედებისა. თუმცა განსვენებულს მწერლობით არ იცნობდა ხალხი, მაგრამ მისი პატროსნების ცოცხალი მავალით, მისი თავდაბალი ტკილი მფობლობურა დარიგება, სიტყვა-პასუხი ყოველს მის უმცროს მოძმეს ოქროს ასოებით ჰქონდა აღბეჭდილი გულის ფიკარზე. — მისი ეშხით საესე თვალები, სათნობით საესე პირისხანის აჩრდილი დიდხანს იქნება ჩვენის საზოგადოების თვალის წინაშე აღმართული, საიდანაც მკრთალი ხმით ჩამოაგებხება: „საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაკან დაჩაგრულია.“ აი, აქ ჰპოვებთ უმანკო სიყვარულს, ცხოვრების გემოს და განშორების დროს ჩემებზე დაკლებობით დაკადილს გულს გლეხის მხურვალე კრემლითა ნაკადული. — დიხ, ბატონებო, დეკარბეთი ძვირფასი მფობლობელი, ოქროს გულის მქონე პატროსანი პირი. ჩვენს მწუხარებას, ჩვენს თავის ტებას მწუხარება არ ექნება, რადგან სახახლის ეკლესიის ვალანდინდან პირლია სამარე რალაც უცნაური სიმხიარულით გამრწყინებული ხელზე გაშლილი მემორჩერება და მოვლის ამ ძვირფასი განძის საუკუნოთ ჩახუტებას თავის ცოც და ყოველგვარ აღურს-მოკლებულს გულ-მკერდში. რამოდენიმე წაიცი კიდევ და განსვენებული შავი მიწის ფარდას უკან მიგვემალება, მოგვეშორება. მაშე ვისურვოთ განსვენებულისათვის საუკუნოთ ცხოვრება და ჩვენდა საიედლოთ დატოვებული მისი ძი: პატარა დათოკსათვის აღზრდა, განვითარება სწავლა-მეცნიერებით შემეკობა და ის ტკილით ხალხისადმი მხურვალე სიყვარულით აღტურვილი გული, როგორიც განსვენებულს მის მშობელს მკერდში უფეთქებდა“.

აქედან ხალხი დიდხრა და მიამურა ერთ ასი წლის მუხის ხეს, რომელ ქვეშაც კათედრა იყავაყობილი. მის წინ დასვენეს მიკაელბული. აქ კათედრიდან გ. წერეთელმა წარმოთქვა შემდეგი:

ბატონიშვილო აღუქსანდრე!

„ჩემს სიკაცბლეშა პირველით ეხედავ, რომ ამდენი ურიცხვი ერთ გარს ჰხვევოდეს ცხედარს, გულწრფელით მწუხებული, ღრმა გრძობით მტრალი. დღეს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოსულან აქ შენ საგლოვით. ბევრი დატბიროდა შენ დღეს, როგორც სათნობით საესე კაცს, როგორც კარგ მფობელს, მოყვრისა და მოკეთის თანამკრძობელს, როგორც

იშვიათი პურმარილის კაცს, გლეხისა და ყოველი დაბალი წოდების მფმბრალეს. ნუ თუ ამითი აინსება მარტო ასეთი თანაგრძობა შენდამი აქ დამწერეთა? არა. მე ბეგრს ეხედავ აქ შორიდან მოსულესს, რომელთაც არც შენი პურმარილი გამოუცდიათ, არც შენი გულ-კეთილბა, არც შენი გაკრეყებაში დახმარება. მე ეხედავ აქ სულ სხვა რჯულის კაცსაც. თუმცა ისიც ჩვენი მამულის შვილია, მაგრამ რჯული კი ნებას არ მიცემდა მას შენთან პური ეკება, შენთან ურთიერთობაში დრო ვაეტარებინა. ეხედავ, რომ დღეს ასეთი კაციც შენი სიკვილით გულდამწვარია და მგლოვიარე. უეჭველით ამის მიხეზი სულ სხვა რამე მაღლი უნდა იყოს შენში და არა მარტო ის პირადი ღირსებები, რომლითაც მრავალი მოტირალი დღეს შენ გამკობდა. დიხ, შენშია დარჩენილი ცოტა რამ ათას-სამასის წლის მაღლისა, რომლითაც შენს დიდებულს წინაპრებს შეუმარგებოთ ამდენი საუკუნოების განმავლობაში საქართველოს ერთ და ცოცხლით მოუყვანიათ იგი ბენ დრომდე. ეს მაღლი მფედგია იმ ქველმოქმედებისა, რომელსაც დიდებულნი შენი წინაპრნი განთესდენ თავის ერში, როცა მარჯვენა ხელში ეყვრთ ჯვარი და მარცხენა ხელში ბასრი მხვილი, რომ დეცვათ საწმუნოება და თავისი ერი. მაგრამ ეს კიდევ ცოტა იყო მათთვის: ეს კი არა მარტო. ისინი უდგენ მიველს შაზაში უძღვებოდ დარაჯთ ქრისტეს ჯვარს ურიცხვი მამადიანობის წინააღმდეგ. განა ეინ იყვენ ასეთი დიდებულნი შენს წინაპართა შორის? — აი, ისინი, რომელნიც ახლა ნათლით მოსილნი დგანან წიაღსა შინა აბრამისასა. მათ შორის უწარჩინებულესნი არიან ბაგრატ-სევესტოს, დავით აღმაშენებელი და დიდი მეფე თამარი. ისინი მხიარულებით გელიან ახლა თავის უმცროსს, ერთს თავის სისხლ-ხარცთავანს, ესე იგი, შენ ბატონიშვილო აღუქსანდრე, რომ მოისმინონ შენგან მხიარული ამბავი იმათი სამკვიდრო ერის აღორძინებისა. უეჭველია, შენ შეგიტკობენ თავის შარავანდით მოსილს ნათელში და გამოგკითხვენ საქართველოს დღეინდელს ეითარებას. რა ამბავი უნდა მიუტანო მათ? — რომ დღეს ქართველი ერის სახელი ქვეყანას დაეიწყებო? რომ ქართველები დაწერილობანებულან, გაცალკეებულან და საუფეშო აღარა ინებდებარა მათში? — არა. შენ ასეთი ამბით არ უნდა მწაფუხო ისინი. ასეთმა სამწუხარო ამბავმა არ უნდა გადაკარას მათს შარავანდითს შავი ღრუბელი... აბა, ძმებო ქართველებო, დღეს მოტირალნი! ახლა თქვენ უნდა მოგმართოთ. ნუ გაუშვებთ ჩვენს საყვარელს აღუქსანდრეს თავის

წინაპრებთან ისე, რომ სანუფეშო არა წაღოსრა მათთან. მოდიო, დღეს ჩვენ შევექნათ ამის სახელი უკედღათ და გაეხადოთ იგი ღირსეული შვილი თავის დაღებული წინაპრებისა.

დღეს ამის სახელით ჩადგაოთ პირველი ქვა საქართველოს ერის ერთობისა. რა უნდა იყოს მაგისთანა საქმეო? — მიუთხავთ თქვენ. აი, რა?.. იცოდეთ, რომ დღეს ჩვენვე უნდა ვიყოთ ჩვენი თავის დამამარე მართალია, რაგორც უწინ, ისე დღესაც ჩვენი მფარველი ზეითი ღმერთია და მის წინაშე ჩვენდა მეოხათ დაყენებული ბატონიშვილის ალექსანდრეს დიდებული წინაპრები; მაგრამ აქ, ამ ქვეყნათ მართო ჩვენ-და დავჩინებოთ ჩვენნივე თავის მომავლე უი და გულშემოტკივარი. გაიხსენეთ, რომ ჩვენ გვაყავს ახალმოხარდი თაობა, რომელსაც პატრონობდა უნდა. ამას ვარდა დღეს ბევრია ჩვენ ხალხში ზეპირ-გადმოცემითი ამბები დიდებული ჩვენი წინაპრებისა, რომელთაც უნდა შეკრება და გამოცემა, რომ უფრო გამტკიცდეს საქართველოს ერის მომავალი ცხოვრება და სახელი ბატონიშვილის ალექსანდრეს დიდებული წინაპრებისა... ამ საქმეს უნდა დიდი ნებისიერი საშუალება. უნდა შეგრაგედეს ამის-გულისთვის საერო თავნი. ყოველმა ჩვენთავანმა უნდა შეეწიროთ წელილი ამ საქმეს. თითოეულმა ქართველმა ქალმა და ვაჟმა, დიდმა და პატარამ თითო ახალს რომ გამოიღოს ამ საერო თავნისათვის, მაშინაც დიდი ფული შედგება. (გაუხეხეში დიდი მოსახარება და ზანჯი: შექანა, თუხდა თითო მანეთად აუკოს!) მოდიო, დავარქვით ამ თავნის ბატონიშვილის ალექსანდრეს სახელი და მის ქვა-კუთხედათ გაეხადოთ იმისივე ოჯახისმიერი შეწირული წელილი. აი, ეს საერთო თავნის დაარსება წინ წაუშობლანოთ ჩვენს საყვარელს ალექსანდრეს სასანუფეშო ამბათ თავის დიდებული წინაპრების წინაშე. ამ კეთილი საქმის დაარსებით ჩვენ უნდა მივეცეთ ბატონიშვილს ალექსანდრეს მიზეზი, რომ მოახსენოს ბაგრატიანესტოს, დავით აღმაშენებელს და დიდ მეფე თამარს შემდეგი: „თუმცა უკანასკნელს საუკუნოებში ქართველი ერთი წელვატეხილი იყო თქვა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ბოლოს მაინც წელია გაიმართა და ჩაიდებ-თქვა ერთობის საძირკველი. ამიერიდან საქართველოს ერთი ისე წამოიბინდება, როგორც ვახუშტის პირათ ამწვანებული ყანა-თქვა“. მაშ აწ თქირი ნურავრისა ვაქვს, ბატონიშვილო ალექსანდრე. წაღო მთავრულათ შენს დიდებულს წინაპრებთან. ამ-ერიდან შენ აქ ჩვენ-შორის გრჩება ორი კარგი მემკვიდრე: ერთა, რომელიც უკედვე ჰყოფს შენს სახელს საქართველოში და მეორე შენი

ძე, დავით, რომელსაც მტლეთ დავებდა შენი ოჯახი, რომ იგი აღიზარდოს სწავლა-მეცნიერებით გაბრწინებული, დიდებული წინაპრების სულით გამხენეებული, რომ მან აღასრულოს ღირსეულათ ის საქმე, რაც შენ დავარჩა ამ სოფლათ აუსრულებელი“.

ამას შემდეგ ბან აკაკიმ წაიკითხა კათედრიდან ლექსი, რომელშიაც დადასტურა გ. წერეთლის მიერ წარმოთქმული წინადადება.

კათედრიდან წარმოთქვე აგრეთვე საგარდობელი სიტყვები ვარდენ და მიხელი ყიფიანებმა. ამ უკანასკნელმა ლექსათ დახატა ბატონიშვილის ალექსანდრეს ოჯახის მწუხარება, ისურვა მისი ერთთათ ერთი შვილის დავითის აღზრდა და მწუხარებათ გამოთქვა მახლობლების და მოკეთების დაობლება ალექსანდრე ბატონიშვილის დაკარგვით.

აქედან მიცვალებული გაასვენეს კარის ეკლესიაში. მეორე დღეს ორმა მღვდელმთავრმა ყოვლად სამღვდლოთა - ვაზარდელმა და ბესარიონმა - წირვა და პანაშვილი გადაიხადეს. საზარელი და მტლთ საგლოვიაო იყო უკანასკნელი გამოთხოვება მიცვალებულისა. ვანცენებულს ბევრი გვირგვინები მიართვეს სხვა-და-სხვა საზოგადოებამ, გლეხკაცობამ და კერძო პირებმა, მაგალითათ ქუთაისის გუბერნიის თავდა-აზნაურობამ, საჩხერის თავდა-აზნაურობამ, შორაპნის მახრის თავდა-აზნაურობამ და ღვანკითის აზნაურებმა ყოვიანებმა. მიართვეს გვირგვინები ღვანკითის გლეხებისაგან, თერჯოლის გლეხობისაგან, გლეხების ცხადმეებისაგან, ზესტაფონის ვაჭრებისაგან, ნაუფ, ალექსანდრე და სვეტიან ლორთქიფანიძებისაგან, თ. ნ. ერისთავისაგან, გამხდელიშვილის ბეგან ჩიქოვანის ასულის მენიკისაგან, მ-ბ. ქუთათელაძისაგან და სხვ. ზაგიერთ გვირგვინებს გულჩასაზღამი ზედ-წარწერებიც ჰქონდათ, მაგ. კ. ს. ერისთავის მიერ მიართმულ გვირგვინს ეწერა:

„შეგობარო, ნათესავო, მირონო! სამგვართ ვან შეგან დაობლებული. დაუვიქანს ცრემლით გაღებო მარჯის და სამართ აქ დაგიდგი შენ გულის“.

თ. ხიღრიბების შვილების გვირგვინზე ეწერა:

„შეგან გულებე ჩვენ გვირგვინი შეგისა, ჩვენ გი გულებე ვაგეთ გვირგვინის სამკლავანს; შივ ჩაწული ჩვენ ხული და გული თან გესლება, რას წარუდგე მასხოვანს“.


მკირე შენიშვნა



ეერიის“ № 46 ჩვენდა განსაკვირებლათ დაისტამბა ვინღაც „ეინ და წილის“ სტატია შემდეგი სათაურით: „სახაგადო მოღვაწეობის პროგრამა ბ. გ. წერეთლისას“. ამ სტატიაში ავტორი სრულიად ეწინააღმდეგება იმ სამეურნეო ურთიერთ-ნდობის ზანის დაახსენებას, რომლის წესდების შედგენაში ასეთი დიდი მონაწილეობა მიიღო თვით „ეეერიის“ რედაქტორმა. „ეეერიის“ რედაქციას შენიშვნაც კი არ მიუცია ამ სტატიისათვის თავის მხრივ. ჰჩანს, რომ „ეეერიის“ რედაქცია სრულიად ეთანხმება ამ აზრს. ეს ჩვენ გვაინტერესებს იმ ზღაპრულ არსებას, სახელათ „იქედნეს“, რომელიც თითონვე ჰება თავის საშოდან დაბადებულს შეიღებს. აი, მოკლეთ შინაარსი ზემოხსენებული სტატიისა: ა, იაფ-სარგებლიანი ფულით დახმარება ჩვენი სამეურნეო და სამრეწველო მწარმოებლებისათვის, ჩვენი მუშა ხალხის და ადგილმამულის მებატროვნებისთვის ფულის მიწედნა, რომ ამ ღონისძიებით გამოიხსნან თავისი ადგილმამული ჩარჩების ხელიდან, — მანებელიაო, ბ, „თავამათ შეგვიძლია ვაქცეთო, რომ იაფი კრედიტი კიდევ უფრო გააღარიბებს წერილსა (და სხვილსაც) მგმა მუღღსო“, გ, „იაფი კრედიტი კიდევ უფრო გააპოტრუნებელია, ვიდრე თვით ჩარჩების კაპიტალია“. აქედან გამოდის, რომ ქართლ-კახეთის მამულები საბოლოოვით ჩარჩებს უნდა მივანებოთ საწოწნათ. ჩვენ გვეგონა, რომ ჩარჩი, რომელსაც ასი და ორასი თუმანის მ. მული ას მანეთში აქვს დაგრიებული და სარგებლათ მთელი ამ მამულის შემოსავალი

მიაქვს ყოველ წლივით, გამანადგურებელი იყო მამულის მებატრონისთვის, დღეს ჩვენ ედლოობთ დაუარსოთ ისეთი სამეურნეო საურთიერიო ბანკი, რომ ამისთანა ხიფათში ჩაერადილი მამულის მებატრონეს მიცეს ფული იაფი სარგებლით და დაესხნა მისი შემოსავალი ჩარჩის ხელიდან, დაეხმარებოდით თავის ქირახული კარგ ფასად გაყვიდა, ნასესხი ფული უკან დაებრუნებინა და თავისი მამული ისევ მებატრონეს შერჩენოდა. თურმე ნუ იტყვიოთ, ასეთი ჩვენი აზრი ბუნებლათ მიუწინევია ვიღაც „წილის“ და ყვირის: არა, დაე, ქართლ-კახეთის მამულები ისევ ჩარჩების ხელში იყოსო. და ამისთანა სტატიებს სტამბავს თავის გაზეთში ის რედაქტორი, რომელიც თვითონ თავამოდებელია ქართლ-კახეთის მამულები სამეურნეო-სამრეწველო კრედიტის წყალობით და სამეურნეო ამანაგებების დაარსებით დახსნას. რას უნდა მივაწეროთ ეს ამბავი? — კეშმარტიად „სამწუხაროა, რომ სასაყლო არ იყოს“.

ჩვენ გგონია, რომ პატიუცემულს რედაქციას ეს უფრო გ. წერეთელზე გულის ჯგერის ამოსაყრელათ მოსვლია. წარსულ წლებში ჩვენმა ბუმბერაზებმა სვი მონიძებმა, თედო კორდანიებმა და სხვებმა ვერა უყვეს რაო, მოდი ახლა ეციდი და წილებსაც მიუსევო. მე გგონია, წილებისთანა მომხრები ვახ. „ეეერიის“ თაბანებს უფრო ვახრავენ, ვიდრე გ. წერეთელს რასმე დაკლებენ. არ ვურჩევთ „ეეერიას“, წილებში მიუშვას თავის რედაქციაში. ამას ის ემჯობინება რომ „ეინ და წილების“ წინააღმდეგ სისუფთავის წამალი (ღეზინ- ფეცკია) იხმაროს.



ს ვ ი მ ო ნ ხ ე ლ ი

(სტორიკალი მოხარობა)

III

შემდეგ *)



მახუდაბანდს ძლიერ იამა, როცა გაიგო, რომ სიტყვა გაიყვანა და იმისთანა თვე ისინება კაციც კი დაიყოლია, როგორიც სვიმონი იყო. ეს ამბავი მსთვის უფრო უხაროდა ხუდაბანდს, რომ ამ გამარჯვებას

მარტო თავის გაღვინას აწერდა ამიტომაც მონღობა სწორეთ ხელწიფუფი პატივი ეცა სვიმონისათვის, ისურვა კრებაზე მიეცა ქართველებისათვის პასუხი და დარბაზობა დანიშნა.

კრება სასახლის დიდ დარბაზში გამართეს. დარბაზის იატაკი ფერადი მარმარილოთი იყო დაგებული, ჰერი და კედლები ჩუქურთმებით და მინაქრებით შეკული კედლებზე და ჰერზე იხება ყანის სურათები, ისტორიული შემთხვევები, ზღაპრული ამბები. სამეფო ტახტი დაფენილი იყო თეთრი ფარჩით, რომელსაც გარშემო თვალ-მარგალიტით ნაქსოვი პტყელი ბაბთა ევლო. ტახტის ზურგზე დაუფასებელი თვლები იყო გამოყვანილი სპარსეთის სამეფო ბეჭედი. ტახტზე იჯდა ხუდაბანდი სრულ

*) ჩხილე „ეევილა“ № 10

სამეფო ტანისამოსში, ყენის ტახტი აქეთ-იქით და უკან ჩამწკრივებული იდგა ცხრა ყმაწვილი — ასე ათიდან თორმეტ წლამდის, — სუსველანი ერთგვარათ ჩამსულღები: ყმაწვილების უკან მწკრივათვე იდგნენ მდღერულათ შეიარაღებული ახალგაზდა მხლებლები. ამათ ხელში ოქროთი დასევალებული თაფები ეჭირათ, თაფების კონდახები ძირსა ჰქონდათ და ბჯენილი. დარბაზი საესე იყო დიდ კაცობით. იმათი ათასფერი ტანისამოსი, იმათი ძვირფასი მორთულობა კაცის თვალს იტაცებდა. ამოდენა ხალხი ისე ჩუმათ, თითქმის უძრავათ, იდგა ყველა თავის ალაგას, რომ კაცს ზღაპრული სასახლე ეგონებოდა, სადაც თითქოს მთელი ხალხი გძინეულს მოეჯადოებინა და გაეკეცებინა. შემოიყენეს ისე ორბელი-შეილი, სამეფო ტახტის წინ მიიყენეს. ისენ თაყვანისცა შაჰს და ბძანებას უცდიდა.

— წამიკითხეს საქართველოს დიდებულების წერილი. გავიგე, რის შესავედრებელათაც მოსულხარ ჩემ კარზე. დღეს მოისმენ ჩემს ნებას! უბძანა ყენმა.

— თქვენი სიბრძნე და სიკეთე ეფინება ქვეყანას, როგორც მზის სხივები. დარწმუნებული ვარ, მოწყალე თვალთ გადმოხედათ საქართველოს, მიუგო ისემ.

შემოიყენეს სეიმონ მეფე და ქართველი ტყვეები. სეიმონი მუქ ტანისამოსში იყო გამოწყობილი, ზედ თვალმარგალიტით მოკედილი ოქროს ბრტყელი სარტყელი ერთცა და ოქროთივე შეკედილი ხანჯალი. სხვები ყველანი უიარაღოთ იყვნენ. სეიმონი წადგა და ისე მიესალმა ყენს, როგორც მეფე. იმისმა ქცევამ და გამბედავამ შეხეღულობამ კარგი შთაბეჭდილობა მოახდინა მოდარბაზებზე.

— გებძანებინათ, გაახელით! მოახსენა სეიმონმა.

— დღეს, როდესაც მაჰმადიანობა მიიღე და ამით შეასრულე ჩემი გულითადი სურვილი, სასიამოვნოთ მიმჩინა, შენი ნახვა. ვაჟკაცობით ქართველებისათვის თავი შეგიყვარებია, იმათ შენზე დაუმყარებიათ იმედი, მთხიენ, გავათავისუფლო. მომიწებებია შენთვის საქართველოს მეფობა. შენ უნდა იყო ჩემი მარჯვენა საქართველოში, უნდა შემეუსრო იქ ხონთქრის ძალი!

სეიმონმა გადაუხადა ხუდაბანდს მადლობა და მოახსენა:

— ჩემი მარჯვენა არ დილაღება სპარსეთის სამსახურით, სანამ სპარსეთი კეთილ მფარველათ ეყოლება საქართველოს. თქვენ მოწყალეზას კი ვერ დაევიწყებ სიკვილიამდის!

— ვისაც მე მეგობრათ დავსახავ, იმას მთლათ უნდა მოეფინოს ჩემი წყალობა, ყველამ უნდა ნახოს ამ წყალობის სიუხვე! — ბძანა ყენმა და მარჯენიე დაისვა სეიმონი.

გამოიტანეს სამეფო მანტია და თავი. შემოსეს სეიმონი სამეფო ტანისამოსით, დაადგეს თავი თაფზე. ამ სანახავეზე ქართველებმა თავი ევლარ შეიკავეს და ერთხმათ შექმახეს:

— გაუმარჯოს ბრწყინვალე ხუდაბანდს! გაუმარჯოს სეიმონ მეფეს!

— სეიმონ მეფე! წადი საქართველოში, გაათავისუფლე შენი სამეფო მტრებისაგან, იყავ ჩემი ტახტის ერთგული, შენ არა ჰგვეხარ უღირს დაუთხანს.

სამეფო ტანისამოსით შემოსილი სეიმონი წადგა და მოახსენა ყენს:

— მეფეთ მეფე! მე დღეს თქვენგან მივიღე მეორეთ ხელმწიფობა, მე ისევე მელისრება ვნახო ჩემი ოჯახი, ჩემი ტბილი სამშობლო, ჩემი სამეფო. ამისთანა სიკეთის დაეიწყება არ შეიძლება.

— გამოთავისუფლებია ყველა ქართველი ტყვეები; დამსეთ და დასაჩუქრეთ ყველანი!

ქართველ ტყვეების სისარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— სეიმონ მეფეს და საქართველოს მფარველ შაჰ-ხუდაბანდს შეევიჩობით! — შექმახესიმათ ერთხმათ. მერე სათითაოთ წადგნენ და თაყვანისცეს ყენსა და სეიმონს.

გამოიტანეს ოქროს ლანგრებით იარაღი, ძვირფასი ტანისამოსი, — ყველა საჩუქარი, რაც კი ხუდაბანდს ქართველებისათვის ეწყალობებინა. აქ იყო მეფისათვის ფსდაუღებელი კაზა, სარტყელი, სისამური, თავი, ხმალი, ხანჯალი, მარგალიტის საბურხი, ცხენის შეკაზმულობა ოქროსი, ოქროს სურა და თასი. ყველა ქართველებისათვის ხალათები, იარაღი, ცხენის შეკაზმულობა. აგრეთვე ყველას უწყალობა ცხენები და სახარჯო ფული. სეიმონს ცხრა ათასი თუმანი ნაღდი მისცა. თანაც ბძანება გასცა, სეიმონ მეფეს მგზავრობაში დახმარებოდნენ,

მიცილებინათ საქართველოს საზღვრებამდის და იქაც შემწეობა ამოეჩინათ იმისთვის საჭიროების გეგარათ. ეს ბძანების ქალღიდი მდივანმა ყაენის წინვე გადასცა სვიმონს.

დარბაზობა თითქმის გათავებული იყო, როდესაც შემოვიდა დედოფლის კარის კაცი და თვალმარჯავლით მოქედელი ხმალი შემოიტანა. ხმლის ტარზე ლეჩაქი ეხვია. შემომტანმა სალამი მისცა ყაენს, მიაართუა ხმალი სვიმონს და მოასწენა:

-- სვიმონ მეფე! დიდებულმა ირანის დედოფალმა მარტხმა გიბძანა, აიღე ეს ხმალი და ლეჩაქი, ისე წადი საქართველოშიო.

ყველას გაუცვირა და ეს ამბავი, რადგან არ იცოდნენ ამის მნიშვნელობა. სვიმონი მიხედა.

— ეს საქართველოს ჩვეულებაა, თქვა იმან დიმილით, მერე აიღო ხმალი, შეხსნა ლეჩაქი და თქვა:

— ხმლით მოესრავ საქართველოს და იმის მთარეელის ბწყინვალე ზუღაბანდის მტრებს. თუ გაეტეხო ეს ჩემი ალთქვა, ლეჩაქი დამეჭუროს თავს!

შპს ძლიერ ესიამოვნა დედოფლის ქცევა და სვიმონის სიტყვა

გათედა დარბაზობა. ყაენი რომ მიბძანდებოდა, მოისმა საკრავების ხმა, სპარსული ჰანგები გულის სიღრმემდის ჩაწედნ.

გ. ბარნოგი

(შემდეგი ქნება)

საქველ-მოქედლო საქმე

ზეპირ-სიტყვაობისათვის საერთო ფონდის დასარსებლათ „კვალის“ რედაქციამ მიიღო: ელის. გ. აბრამაშვილისაგან 5 მ., ს. ა. მგერელიშვილისაგან 2 მ., ე. ა. აბაშიძისაგან 1 მ., დ. მეხისაგან 1 მ., გ. ყიფიანისაგან 1 მ., მ. ჩორგაძესაგან 1 მ., ნ. მაღლაკლიძისაგან 1 მ., მ. კუტუაძესაგან 1 მ., ბ. ბერსენაძესაგან 50 კ. ი. მერკელიძესაგან 50 კ. და გ. მენაბდესაგან 50 კ. სულ შედგა 14 მ. 50 კ. უკვე შემოწირულთან ერთათ შედგება 84 მ. 50 კ.

პაიქემ 1 მ. ს. ცინცაძემ 1 მ. სპ. გიორგობიანი 1 მ. მ. ჯაჯანაძემ 1 მ. ი. ივანოვმა 1 მ. ყარ. სბირტლაძემ 5 მ., ამაკო დოლიძემ 2 მ., სოლ. ნასრაძემ 1 მ., გერ. აივაზოვმა 1 მ., კ. გორგასალიძემ 1 მ., ნეს. ბახტაძემ 2 მ., ივ. ხარებავამ 3 მ., ბახვა გაგუამ 1 მ., დ. ტერ-საკოვმა 2 მ. ერმიშოვმა 5 მ., არენსტერგმა 2 მ. გ. რაზმაძემ 3 მ., ლიზა რაზმაძისამ 2 მ., დ. ბახტაძემ 1 მ., პ. ფალავამ 1 მ., ისაკ კაბაძემ 3 მ., კ. ლალიშემ, 2 მ. მარიამ ლალიძისამ 2 მ., ნ. ლალიძისამ 1 მ., ი. დიენიშვილმა 1 მ., დ. დავილოვმა 1 მ., დიმი. ოქროპირიძემ 1 მ., და მან. კვესელავამ 2 მ. აღრინდელი ფულით შედგება 15 მ. და 50 კ.

„კვალის“ რედაქციამ მიიღო მართა აღლაძისაგან ელისავეტოპოლის სადგურის ქართველ მოსამახსურების მიერ შემოწირული ფული სამი მანეთი ალიტერატურა ფონდ-სთვის. ეს ფული უკვე გააეცა წერა-კითხვის საზოგადოების მდივანს.

„კვალს“ რედაქციამ მიიღო ქუთაისის თეატრის სასარგებლოთ 4 მ., და 25 კ. შემდეგ პირებისაგან შემოწირული: დ. ტატიშვილის მიერ 1 მ., ელ. მარგძელიშვილის მიერ 1 მ., გ. მაჭავარიანის მიერ 1 მ., ი. ინასარიძემ 40 კ., ალ. უთალაშვილმა 50 კ., მეღ. გრიგორაშვილმა 30 კ., არჩილასაგან 5 კ. სულ 4 მ და 25 კ. სულ წინანდელით 15 მ. და 25 კაპეიკი

„კვალის“ რედაქციამ კიდევ მიიღო ბუზარბაძისგან ერასტო ბახტაძესაგან ზეპირ სიტყვაობის დასარსებულ ფონდისათვის შეიღი თუმანი შემდეგ პირებისაგან შემოწირული: ერასტო ბახტაძემ 20 მ. ან.

ჩვენი მუშებისა და ნოქრების მდგომარეობა

(წერილ მეორე *)

ჩვენ წინა წერილში გვქონდა მოხსენებული, რომ ჩვენში არავითარი ყურადღება არ არის მიქცეული მუშა-ხელოსნების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და დღესაც არაფერი ჰქონდა მათ გულ შემატკივრობას, რომლის გულისთვისაც რაგორც წინეთ ითქვა, ევროპაში დიდი სჯავბასია უკანასკნელი მუშიდან დაწყებული თითქმის უმაღლეს მთავრობამდის. ამისათვის ყველა შეგნებული ხალხი მოვალეა ჩვენში, რომ მუშათა ინტერესები დაიცვას, რადგან ცხოვრებაში დიდი ავადილი უქრავს მუშა-ხელოსნებს, ურომლისათაც არა-წოდების ხალხს არ შეუძლია ცხოვრება. ავიღოთ, მაგალითად აქაური ქარხნებში დანიშნული დრო, რომლის განმავლობაშიაც მუშა-ხელოსანი მუშაობს. ეს ყოველდღე აუტანელი და სამძიმო დროა, რადგან მაც თერთმეტი საათი დღეში, თორმეტი და ზოგან მეტიც არა კაცს არ შეუძლია გამუდმებით იმუშაოს. და რაკი არ შეუძლია ამისთვის მუშა თანდათან იცრუებს, გულს, გაურბის მუშაობას, ეჩვევა ლოთობას და ბოლო ეღება. განა მექარხნეები კი მოგებული არიან მითა, რომ მუშებს მეტი დროს ამუშაებენ? — აბა, ენახოთ სურათი ჩვენი მუშების ცხოვრებისა, ან რა სარგებლობასაც აძლევს თეთი ჩვეს მექარხნეებს ძალდატანებითი მუშაობა. ენახოთ, აბა, რა მეტს აკეთებს მუშა, როცა მას ვადამეტებულს დროს ამუშაებენ.

ეთქვით, მაგალითად, ქარხნის პატრონმა მიუტანა სამუშაო ხელოსანს და ეუბნება: ეს ძალიან საჩუქარია, უსათუოდ ამდენი და ამდენი გააკეთე და ამასთანავე სუფთა, მკვიდრი გაქვითულიც უნდა იყოს. ხელოსანი შინაჯავს და ეუბნება მექარხნეს, კარგია.. მაგრამ რაკი იციან, რომ ადრე გააკეთებს თუ გვიან, ამითი მას შრომის ფასს არ მოემსახვება, ამისთვის ის ორი საათის საქმეს რვა საათს ანდომებს. ის მალ მალ გარბის წყლის დასაღვებით, შარდზე დგება თითქმის მთელი საათი და ელის, როდის გათვდება ეს ოხერი დღეო.

ასე ამნარი მუშაობით ის ეჩვევა სიზარამაცს და მერე თითონაც რომ გულით უნდოდეს რისმაც ჩუქარ გაკეთებ, მაინც ხელი და გული აღარ მოადევს ბოლოს ეს სიზარამაც ექამდის მატულობს, რომ ბევრჯელ აკლდება სამუშაოს და მუშაობის დროსაც სწირათ გარბის, რადგან გული ელევია ამ შეუფერებელ დროს გაყვლაში. გარბის უდროვოდ და საღ მიღის? — შინ ვერ წავა, რადგან ოჯახში იციან, რომ უდროვოდ მოვიდო და საყვედურს რომ მოაჩრდიას თავი, დახებდება ქუჩებში. ერთად ენახოთ, შეხედება თავისავე ამხანაგს, ამნარსავე დღეში მყოფს. ესენი შეჩვილებენ თავიანთ ღარდებს ერთმანეთს და მერე

ადრდების გასაქარებლად შევლენ საღმე დუქანში. აი, მოთხოვეს პატარა ჭიქით არაყი, მერე ამას დიდი ჭიქაც მოყვება და ასე მოყვებიან, სანამ კარგათ არ დაითრობიან. დღეს, ხედავთ ამ ნარიც კტევა ექამდის მიიყვანს მუშას, რომ ის უკვე ეჩვევა ლოთობას. გათუო ქარხნის პატრონმა, რომ მისი მუშა ლოთობა გამხდარა. ის აღარ აყენებს მას ქარხანაში. წადი. მე ოხერი ფული არა მაქვს, რომ შენ გაძლოავო. რჩება უბედური მოხელე მუშა უსაქმოდ. ვიჰ მისი ბრალი, თუ ცოლშვილის პატრონია. რა ქნას? სხვაგანაც აღარ იღებენ, რადგან ყველა მექარხნეებს კული ერთად აქვთ გადახმული. ესაქმა ხელოსანს შიშილი აწუხებს, ცოლშვილი ეტოცება. მეტი რა ლოთე აქვს, უნდა გაცარცვოს ვინმე. ან ქურდით გაიქცეს.

ასე დახეტიალობს, სანამ პრილიცას არ ჩაუფარდება ხელში და არ უტარვენ თავს ციხეში. ამნარით ეს ოდესმე პათიოსანი მუშაკი ვარდება უკანასკნელ დღეში და ეს სულ იმის შემწეობით ჰადება, რომ ქარხნეში დღი დროა დანიშნული სამუშაოთ და ქრია კი ცოტა ეძღვევთ. ბევრნი არიან მუშა ხელოსნებში ისეთნიც. რომლებსაც ხალხის აქვთ წიგნების კითხვისა, ყურნალ-გაზეთების გამოწერისა; მაგრამ რა ჰქნას საწყლებმა, რომ დრო არა აქვთ მათთვის. თქვენ წარმოიდგინეთ დილით მიდის ხუთ საათზე, ღამე 8 — 9 საათზე პრუნდება. აბა, აქ რა დრო რჩება წიგნების კითხვისა? შეიძლება გვიპასუხოთ, რომ თუ გული გულობსო, ქადა ერთი ხელითაც იჭმებაო. განა არ შეუძლია, რომ რვა საათს შემდეგ დაჯდეს და თერთმეტ-თორმეტ საათამდის წიგნები იკითხოოსო?.. მაგრამ არა, ბატონებო, მაგნარით მხოლოდ იმას შეუძლია მოიკტეს, ვინც მერე დღეს თერთმეტ საათზე აღდება და არა მუშას, რომელიც მოგვალა ხუთ საათზე ადვებს, რადგან უამისოდ შშიგრი დარჩება. კიდევ ვიმეორებ, რომ მოგების მეტი ზარალი არ ექმნებათ მექარხნეებს, რომ ეს ხანგრძლივი მუშების დრო შეცვლიან რვა საათზე. ამით მექარხნეები უფრო მოიგებენ, რადგან მუშა-ხელოსნები უფრო ხალისიანათ ღრულ-დაღებით იმუშავენ. ამის მაგალითს სხვათა შორის გვიმტკიცებს თეთი ინგლისიც, სადაც შემოიღეს დღეში რვა საათი სამუშაოთ, რაკი ნახეს, რომ მექარხნეებსაც უფრო ხეირა აქვთ და მუშაც უფრო ერთგულად მუშაობს. ამას შემდეგ ამცდლებ ჩვენ მკითხველებს გვაჯანო, თუ როგორ წარმოგებს ჩვენებურს ქარხნებში მუშაობა, ან მუშა ხელოსანი რა ჯამავრის იღებს, ან დღიური მუშას რამდენი ფასს აქვს.

ამსელი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

*) ის. ამ წლის აგვლი № 2